დანართი №1

,,დამტკიცებულია“

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის 2011 წლის „ 29.06 “ ივნისის №62/01-01 ბრძანებით

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვლის შექმნისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენის წესი

1. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის (ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კონსპექტები და სხვა სასწავლო მასალა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლა) ჩამონათვალი აკრეფილი უნდა იყოს ერთი ფონტით (სილფაენი Sylfaen).
2. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარადგინონ ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით, საოფისე პროგრამა ექსელში (Excel) დამზადებული ცხრილის სახით (იხ. დანართი #2).
3. ანბანურად დალაგებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი დაჯგუფებული უნდა იყოს ენების მიხედვით;
4. ძირითადი ლიტერატურის სიის შემდეგ იმავე სვეტში მითითებული უნდა იყოს დამხმარე ლიტერატურის სია;
5. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი ექსპერტზის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.